ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №207

6 აპრილი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჟბადინის საჯარო სკოლა მისი დირექტორის დურსან ისმაილოვის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ შპს „დეკორი" დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: საკანცელარიო საქონელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ #1-ში (CPV-30100000)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღე.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 92.49 (ოთხმოცდათორმეტი ლარი და 49 თეთრი) ლარს.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: დირექტორი დურსან ისმაილოვი

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.

5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს დირექტორი დურსან ისმაილოვი

7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემ|თხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარე ვალდებულ;ია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდედლობის შესაბამისად.

10.ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ძემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჟბადინის საჯარო სკოლა	შპს „დეკორი"
ს/კ 234223863	ს/კ 203868635
მის: მარნეულის რაიონი / ს. ლეჟბადინი	სს პროკრედიტ ბანკი
დირექტორი	ბ/ნ MIBGGE22
დურსან ისმაილოვი	ა/ა GE66PC0133600100062479
ტელ : 551096309	მის: ქთბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ.157
	ტელ: 2 24 05 05 (599100474) 595330299
	დირექტორი:
	დიმიტრი კვეკვესკირი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 6 აპრილი 2016 წელი

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჟბადინის საჯარო სკოლა დირექტორის დურსან ისმაილოვის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „დეკორი"-ს დირექტორი დიმიტრი კვეკვესკირი ვადასტურებთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჟბადინის საჯარო სკოლას საკანცელარიო საქონელი თანხით 92.49 ლარი ნამდვილად მიეწოდ, რასაც ხელს ვაწერთ:

ჩავიბარე:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ

ლეჟბადინის საჯარო სკოლა

დირექტორი დურსან ისმაილოვი

ჩავაბარე:

შ.პ.ს „დეკორი"-ს

დირექტორი დ.კვეკვესკირი